ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომის

ოქმი N 9

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 19 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 22.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ;
2. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - ფაკულტეტის ბიუჯეტის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. ბიუჯეტის პროექტი წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს. აღსანიშნავია, რომ ამ ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხელფასების ზრდაც. შემდეგ ბატონმა რამაზმა დაწვრილებით ისაუბრა ამ საკითხის შესახებ. კერძოდ, 2020 წლიდან ხელფასები გაიზრდება შემდეგი ოდენობით: მარტიდან მოემატებათ ხელფასი ასისტენტ პროფესორებს (90 ლარი ა კატეგორია, 45 ლარი გ კატეგორია), ასოცირებულ პროფესორებს (120 ლარი ა კატეგორია, 60 ლარი გ კატეგორია), პროფესორებს (150 ლარი ა კატეგორია, 75 ლარი გ კატეგორია); ლაბორანტებს და ინჟინრებს (150 ლარი მატება), უფროს ლაბორანტებს, უფროს ინჟინრებს (130 ლარი), ლაბორატორიის გამგეებს (90 ლარი) და მასწავლებლებს (90 ლარი). გარდა ამისა, ცენტრალური ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით სექტემბრიდან მოემატება ანაზღაურება ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მათი ხელფასის 7% -ის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა, დ.ძიძიგურმა, ა.შენგელაიამ. ამ უკანასკნელმა იკითხა ბიუჯეტის ზრდის წყაროს შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ეს არის სანდიეგოს უნივერსიტეტიდან მოსული საკომპენსაციო ხარჯები, რომლის ხარჯვის წესი და მიზნობრიობა დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 21 მარტის სხდომაზე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მომდევნო წლებში სანდიეგოს უნივერსიტეტიდან მოსული თანხის წილი შემცირდება, თუმცა შესაბამისად გაიზრდება ჩვენს მიერ მიღებული სტუდენტების წილი.

პროფესორ ა.შენგელაიას მომდევნო შეკითხვა შეეხო იმპაქტ-ფაქტორიანი ნაშრომების ანაზღაურებას - იგი დაინტერესდა, თუ რატომ შემცირდა თანხა ამ მუხლში. ამაზე ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ წინა წელს ვერ მოხდა თანხის ათვისება და მომავალი წლის ბიუჯეტში ამიტომაც გამოიყოფა რეალურთან მიახლოებული თანხა

(იხ. დანართი 1). პროფესორ ა.შენგელაიამ ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ინფრასტრუქტურისთვის თუ გამოიყოფა დამატებითი თანხა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ABET აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესაბამისად რამოდენიმე საგნის ფორმატში შესატანი ცვლილებები კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამებში (იხ. დანართი 2.1). გარდა ამისა, ცვლილებები შევიდა გეოგრაფიის საბაკალავრო, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სამაგისტრო პროგრამებში (იხ. დანართი 2.2) და ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მოდულში „უჯრედის და განვითარების ბიოლოგია“ (იხ. დანართი 2.3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამებში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამებში (იხ. დანართი 2.1), გეოგრაფიის საბაკალავრო, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სამაგისტრო პროგრამებში (იხ. დანართი 2.2) და ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მოდულში „უჯრედის და განვითარების ბიოლოგია“ (იხ. დანართი 2.3).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო შემდეგი საკითხები:

ა) აკადემიური პერსონალის სახელფასო კატეგორიის შესახებ;
ბ) იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიებზე სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ;
გ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-8 საფაკულტეტო კონფერენციის მათემატიკის და გეოგრაფიის სექციების შესახებ;
დ) ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის თავმჯდომარისა დამტკიცებისა და კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრის დამატების შესახებ;
ე) ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მდივნის დამტკიცებისა შესახებ;
ვ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ.

3-ა. მოისმინეს: აკადემიური პერსონალის სახელფასო კატეგორიის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო გადაწყვეტილება აკადემიური პერსონალის სახელფასო კატეგორიების ცვლილებისა და თანამდებობრივი სარგოს გაზრდილი ოდენობით დაწესების შესახებ. კერძოდ:

1. გაუქმდეს აკადემიური პერსონალის სახელფასო „ბ“ კატეგორია და დარჩეს მხოლოდ ორი კატეგორია. შესაბამისად „გ“ კატეგორიის აკადემიურ პერსონალს მიენიჭოს „ბ“ კატეგორია;
2. თანამდებობრივი სარგოები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა“ კატეგორია

- პროფესორი - თვეში 2650 ლარი;
- ასოცირებული პროფესორი - თვეში 2120 ლარი;
- ასისტენტ პროფესორი - თვეში 1590 ლარი;

„ბ“ კატეგორია

- პროფესორი - თვეში 1325 ლარი;
- ასოცირებული პროფესორი - თვეში 1060 ლარი;
- ასისტენტ პროფესორი - თვეში 795 ლარი;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აკადემიური პერსონალის კატეგორიების წარმოდგენილ სქემას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის კატეგორიების სქემა წარმოდგენილი ფორმით, კერძოდ:

1. გაუქმდეს აკადემიური პერსონალის სახელფასო „ბ“ კატეგორია და დარჩეს მხოლოდ ორი კატეგორია. შესაბამისად „გ“ კატეგორიის აკადემიურ პერსონალს მიენიჭოს „ბ“ კატეგორია;
2. თანამდებობრივი სარგოები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა“ კატეგორია

- პროფესორი - თვეში 2650 ლარი;
- ასოცირებული პროფესორი - თვეში 2120 ლარი;
- ასისტენტ პროფესორი - თვეში 1590 ლარი;

„ბ“ კატეგორია

- პროფესორი - თვეში 1325 ლარი;
- ასოცირებული პროფესორი - თვეში 1060 ლარი;
- ასისტენტ პროფესორი - თვეში 795 ლარი;

3-ბ. მოისმინეს: ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაცია იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიებზე სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ. ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტის “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლიდან გამოყოფილია თანხა ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად. კერძოდ, ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა შეადგენს 2500 ლარს და ფინანსდება 1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე. ამჟამად დასაფინანსებლად წარმოდგენილია პროფესორ ე.ნადარაიას და ასისტენტ პროფესორ პ.ბაბილუას ერთობლივი სტატია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიაზე ე.ნადარაიას და პ.ბაბილუასთვის სახელფასო დანამატის გაცემის საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: გაიცეს თანხა იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციის ჩამოთვლილ ავტორებზე შემდეგი ოდენობით:

	გვარი, სახელი	თანამდებობა	წილი	თანხა (ლარი)	სტატია
1	ბაბილუა პეტრე	ასისტ. პროფ.	50 %	1250	„On one homogeneity test based on the kernel-type estimators of the distribution density“, Ukr. Mat. Zh. Volume 71, № 4, 2019, pp. 443-454
2	ნადარია ელიზბარ	პროფ.	50 %	1250	

3-გ. მოისმინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-8 საფაკულტეტო კონფერენციის მათემატიკის და გეოგრაფიის სექციების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. კერძოდ, მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-8 საფაკულტეტო კონფერენციის მათემატიკის სექციის მუშაობა მიეძღვნება აკადემიკოს ლევან ჟიჟიაშვილის 85 წლის იუბილეს, ხოლო გეოგრაფიის სექციის მუშაობა მიეძღვნება აკადემიკოს მიხეილ საბაშვილის 120 წლის იუბილეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა განხილულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-8 საფაკულტეტო კონფერენციის მათემატიკის სექციის მუშაობა მიეძღვნას აკადემიკოს ლევან ჟიჟიაშვილის 85 წლის იუბილეს, ხოლო გეოგრაფიის სექციის მუშაობა მიეძღვნას აკადემიკოს მიხეილ საბაშვილის 120 წლის იუბილეს.

3-დ. მოისმინეს: ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის თავმჯდომარისა დამტკიცებისა და კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრის დამატების შესახებ. ფაკულტეტის საჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ყველა დარგობრივ პროგრამულ კომიტეტში არჩეულ უნდა იქნას თავმჯდომარე და მდივანი, შემდეგ კი დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოზე. ამჯერად დასამტკიცებლად გამოტანილია ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის თავმჯდომარედ პროფესორ ნანა შათაშვილის დამტკიცების საკითხი, ასევე საკითხი კომიტეტის შემადგენლობაში ახალი წევრის, ფიზ.მათ. მეცნ. კანდიდატის რუსუდან დანელიას შეყვანის შესახებ (იხ. დანართი 3 - კომიტეტის სხდომის ოქმი).

აღნიშნული საკითხის შესახებ განმარტება გააკეთა პროფესორმა ნანა შათაშვილმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა განხილულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს პროფესორი ნ.შათაშვილი ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის თავმჯდომარედ,

ხოლო კომიტეტის შემადგენლობას დაემატოს ახალი წევრი, ფიზ.მათ. მეცნ. კანდიდატი, რუსუდან დანელია.

3-ე. მოისმინეს: ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მდივნად რუსუდან დანელიას დამტკიცების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფიზიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის მდივნად ფიზ.-მათ.-მ.კ. რუსუდან დანელია.

3-ვ. მოისმინეს: პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ. კერძოდ, ქ-მა დიანამ ისაუბრა კვალიფიკაციების ჩარჩოში სპეციალიზაციების ჩამატების აუცილებლობაზე, ისე, რომ საკვალიფიკაციო დოკუმენტში შესაძლებელი იყოს დარგთან ერთად ქვედარგის მითითებაც.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.მუკბანიანმა და სხვებმა.
საკითხზე მსჯელობის შედეგად საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურისთვის მოითხოვონ კვალიფიკაციების ჩარჩოში სპეციალიზაციების ჩამატება და მოამზადონ შესაბამისი მიმართვა თსუ ხარისხის სამსახურში წარსადგენად.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი